N 29 2016 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

„ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №100 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/01/2014, 010240030.10.003.017718) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის:

ა) „ღ[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ღ[1]) უზრუნველყოფს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე სტრატეგიული კომუნიკაციის გრძელვადიანი პოლიტიკისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავებას, კოორდინაციასა და მონიტორინგს, ასევე სტრატეგიული კომუნიკაციის ღონისძიებათა დაგეგმვასა და კოორდინაციას;“;

ბ) „ღ[4]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ღ[4]) ახორციელებს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესსექტორის, ასევე სტრატეგიულ კომუნიკაციაში ჩართული სხვა ორგანიზაციების ღონისძიებების ერთიანი გეგმის შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციას;“.

2. დადგენილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო ნუსხა

№	თანამდებობა	რაოდენობა
1	საქართველოს სახელმწიფო მინისტრი	1
2	საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე	1
3	საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე	2
4	საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი	1
5	დეპარტამენტის უფროსი	6
6	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	7
7	ფინანსური მენეჯერი	1
8	იურისტი	1
9	სამმართველოს უფროსი	3
10	მთავარი სპეციალისტი	19
	სულ:	42“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**